ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აგრძელებს თანამშრომლობას ევროკომისიის პროგრამა ERASMUS MUNDUS-თან და აცხადებს კონკურსს საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების მკვლევარებისთვის (მეორე სამიზნე ჯგუფი) ევროპის 10 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში კვლევითი სტიპენდიის მოსაპოვებლად

სააპლიკაციო დოკუმენტაციის მიღება ხდება ელექტრონულად შემდეგი ვებ-გვერდის საშუალებით:
http://www.unibo.it/WEBB/

სავალდებულო დოკუმენტების ჩამონათვალი	**მკვლევარები**
ცნობა სტატუსის შესახებ	გაცემული შესაბამისი ფაკულტეტის მიერ, რომ ამჟამად რეგისტრირებული ხართ საქართველოში აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (დოკუმენტის ნოტარიალურად დამოწმებული ინგლისური ვერსია)
დოქტორის დიპლომი	არქონის შემთხვევაში, ცნობა, რომ დამთავრებული გაქვთ, აღების სავარაუდო თარიღის მითითებით
ენის საერთაშორისო სერთიფიკატი (TOEFL, IELTS)	მკვლევარებმა, რომელთაც არ აქვთ ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი, უნდა წარადგინონ მშობლიურ უნივერსიტეტში ენის ტესტის (B2) ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი (მიმდინარე სემესტრში ჩაბარებული მიმღებ უნივერსიტეტში სასწავლო ენად შემოთავაზებული ენებიდან ერთ-ერთის: ინგლისური, გერმანული, იტალიური და ა.შ) შესაძლებელია, ასევე, რომ ზოგიერთმა უნივერსიტეტმა სავალდებულოდ მიიჩნიოს საერთაშორისო ენის სერთიფიკატის ქონა, გადაამოწმეთ ინფორმაცია სასურველი უნივერსიტეტის მოთხოვნებში!!
საკვლევი გეგმის მონახაზი	საკვლევი თემის სათაური, გეგმა, ძირითადი საკითხებით და მიზნებით, მეთოდოლოგიითა და ბიბლიოგრაფიით (1500-2000 სიტყვა).
მოტივაციის წერილი	რატომ გსურთ ზემოაღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობის მიღება (ინგლისურ ენაზე)
მხარდაჭერის წერილი მშობლიური უნივერსიტეტისგან	დასტური, რომ მშობლიურ უნივერსიტეტს აქვს აკადემიური ინტერესი ამ პროგრამაში მონაწილეობის მიღებით და დაბრუნების შემდეგ მოახდენს თქვენს ინტეგრირებას
დაინტერესების წერილი მასპინძელი უნივერსიტეტისგან (თუ სავალდებულოა თქვენი სასურველი უნივერსიტეტისთვის)	მასპინძელი უნივერსიტეტის კვლევის ხელმძღვანელის წერილი, კვლევის ხანგრძლივობის მითითებით, რომ თქვენ შესაბამისი ხართ თანამშრომლობისთვის (შერჩევის შემთხვევაში)
CV	იხილეთ თანდართული ნიმუში (დანართი 1; EN, IT, DE, FR)
ორი რეკომენდაციის წერილი	მშობლიური უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ

	გაცემული (ინგლისურ ენაზე, შესაბამისი ფაკულტეტის ბეჭდით დამოწმებული)
პასპორტი	სურათიანი გვერდის დასკანერებული ვერსია
განცხადება განმეორებით ერასმუსის სტიპენდიის მიღებაზე	იხილეთ ნიმუში (დანართი 2)
ინფორმაცია საზღვარგარეთ 12 თვეზე მეტი ვადით სწავლის/კვლევის შესახებ (საჭიროების შემთხვევაში)	იხილეთ ნიმუში (დანართი 3)
სოციალურ-ეკონომიკური ან/ და ჯანმრთელობის პრობლემის დამადასტურებელი ცნობა	ოფიციალური დოკუმენტი, რომ მიეკუთვნებით სოციალურად დაუცველ ფენას ან იღებთ სოციალურ შემწეობას, ჯანმრთელობის პრობლემის დამადასტურებელი დოკუმენტი (ნოტარიალურად დამოწმებული ინგლისური ვერსია)

პროექტში მონაწილე ევროპული უნივერსიტეტები:

1. ბოლონიის უნივერსიტეტი, იტალია
2. კა-ფოსკარის უნივერსიტეტი, ვენეცია, იტალია
3. პავიას უნივერსიტეტი, იტალია
4. კარდიფის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი
5. გენტის უნივერსიტეტი, ბელგია
6. ლაიპციგის უნივერსიტეტი, გერმანია
7. ლუნდის უნივერსიტეტი, შვედეთი
8. ტურკუს უნივერსიტეტი, ფინეთი
9. პოიტიერის უნივერსიტეტი, საფრანგეთი
10. ვარშავის უნივერსიტეტი, პოლონეთი

პარტნიორი უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებული სასწავლო პროგრამები:
http://www.unibo.it/WEBB/Destinations/default.htm
მობილობის პერიოდი: 2013/2014 აკადემიური წელი
მობილობის ხანგრძლოვობა: 6-დან 10 თვემდე
სტიპენდია მოიცავს 1800 ევროს ყოველთვიურად, საერთაშორისო მგზავრობისა და დაზღვევის დაფინანსებას.

სრული სააპლიკაციო დოკუმენტაციის პროექტის ვებ-გვერდზე ატვირთვის ბოლო ვადა:
2013 წლის 15 იანვარი

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ
ანი ჭელიშვილს თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში
თსუ პირველი კორპუსი, პირველი სართული, ოთახი 121. ელ-ფოსტა: erasmus@tsu.ge